Yealink-ის ვიდეო საკონფერენციო სისტემა

Yealink-ის ინოვაციური ვიდეო საკონფერენციო სისტემა წარმოდგენელია ორი მოდელის - VC400-ის და VC120-ის სახით.

სისტემა განკუთვნილია სათაო და დაშორებულ ოფისებს შორის მაღალი ხარისხის ვიდეო კონფერენციის მოსაწყობად.

ორივე მოდელი აღჭურვილია 18x ოპტიკური მოახლოების და Full HD (1080P) გაფართოების მქონე ვიდეო კამერით.

VC400 შეიძლება გამოყენებული იყოს სათაო ოფისში და მისი მეშვეობით შეიძლება მოეწყოს ოთხმრივი ვიდეო-კონფერენცია Full DH (1080P) ხარისხის გამოსახულების მიღებით ან რვამხრივი კონფერენცია HD (720P) ხარისხით (პროგრამული განახლების მოლოდინში).

VC120-ის შეუძლია მიიღოს ერთი ვიდეო გამოსახულება და ამგვარად გამოყენებული იქნას დაშორებულ ოფისებში, მრავალმხრივი კონფერენციისას ან ერთმანეთთან ორმხრივი კონფერენციის მოსაწყობად.

Yealink-ის ვიდეო საკონფერენციო სისტემას გააჩნია H.264 High Profile კოდეკის მხარდაჭერა, რის გამოც Full HD (1080P) გაფართოების ვიდეო სიგნალისთვის საჭიროა მხოლოდ 1 მეგაბიტ/წამში სიჩქარე, ხოლო HD (720P) გაფართოების შემთხვევაში 512 კილობიტ/წამში.

მონიტორზე შესაძლებელია გამოტანილი იქნას, როგორც კონფერენციის მონაწილე მხარის/მხარეების ვიდეო-გამოსახულება, ასევე სისტემასთან მიერთებულ ნოუთბუქზე გაშვებული პრეზენტაცია.

ორი HDMI პორტი. საჭიროების შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს, საკონფერენციო სისტემას მივაერთოთ ორი მონიტორი და ერთ მონიტორზე მივიღოთ მონაწილეთა ვიდეო გამოსახულება, ხოლო მეორეზე პრეზენტაცია.

VC400 - ის შემთხვევაში დამატებით შესაძლებელია გამოსახულებების გადანაწილება სხვადასხვა ეკრანზე.

ვიდეო საკონფერენციო სისტემა გვაძლევს საშუალებას, USB პორტის გამოყენებით მოვახდინოთ კონფერენციის ვიდეო ფაილად ჩაწერა HD (720P) გაფართოებით.

ორივე მოდელი აღჭურვილია სამ მიკროფონიანი სისტემით, რომელიც ხმას აღიქვამს 3 მეტრის დაშორებიდან 360 გრადუსით. ორი დამატებითი მიკროფონით აღნიშნული მანძილი შეიძლება გაიზარდოს 5 მეტრამდე.

საკონფერენეციო სისტემების დაკავშირება შესაძლებელია SIP პროტოკოლით, როგორც სატელეფონო სადგურის გავლით ასევე პირდაპირ IP მისამართზე მიერთებით.